ხელშეკრულება #06.23-03
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში
დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ

ქ. თბილისი, 21 ივნისი 2023 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - ,,სააგენტო"), წარმოდგენილი ინოვაციებისა და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ანა ქოქიაშვილის მიერ და, **სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (საიდენტიფიკაციო ნომერი: **204995176**), წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრის გიორგი გელაშვილის (მინდობილობა #221356227) სახით შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ,,განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონულ პროგრამაზე" (NAPRWEB3.5) (შემდეგში - ,,პროგრამა") კომპანიის წარმომადგენლების (იგივე კომპანიის მიერ მინდობილობის საფუძველზე გამოყოფილი სპეციალურად უფლებამოსილი პირ(ებ)ის) წვდომა ,,დათვალიერების" ფუნქციით **(CPV 75120000)**.
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას კომპანია ახორციელებს თავისი თანამშრომლების მეშვეობით.
1.3 **მომსახურების გაწევის ვადაა 2023 წლის 01 ივლისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მუხლი 2. მხარეთა ზოგადი სახელშეკრულებო ვალდებულებები

მხარეები ვალდებულნი არიან:
2.1. ხელშეკრულების პირობები შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად, მხარეთა თანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპზე დაყრდნობით;
2.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლონ ერთმანეთთან კონსულტაციისა და ურთიერთდახმარების სხვა მეთოდებით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. სააგენტო ვალდებულია:
3.1.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს კომპანიისთვის პროგრამის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენებისთვის საჭირო სხვა პირობების შექმნა, წინამდებარე ხელშეკრულებისა და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად;
3.1.2. მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად პროგრამასთან კომპანიის თანამშრომლის დაშვების მიზნით, სააგენტოს მიერ მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა უზრუნველყოს კომპანიის მომხმარებლის სახელისა და შესაბამისი პაროლის გაწერა და კომპანიისთვის მისი მიწოდება;
3.1.3. საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურის) წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაზე, აცნობოს კომპანიას შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევაში კი - დაუყოვნებლივ.
3.1.4. საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურის) ცვლილების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული

უფლებამოსილების განხორციელებაზე, აცნობოს კომპანიას ცვლილებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე.
3.1.5 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე თამარ მცხვეთაძე.

3.2. კომპანია ვალდებულია:

3.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს კეთილსინდისიერად;
3.2.2. ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, წინასწარ მიაწოდოს სააგენტოს წერილობითი ინფორმაცია მომხმარებელთა შესახებ;
3.2.3. უფლებამოსილებების განხორციელებისას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესები;
3.2.4. არ დაუშვას ამ ხელშეკრულების შესაბამისად სააგენტოს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;
3.2.5. სააგენტოს მხრიდან მომსახურების განხორციელებისთვის უზრუნველყოს აუცილებელი ტექნიკისა და კომუნიკაციების (მათ შორის ინტერნეტკავშირის) გამართული ფუნქციონირება;
3.2.6. არ დაუშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის ხელმისაწვდომობა მესამე პირებისთვის;
3.2.7. არ დაუშვას სააგენტოს მიერ უფლებამოსილების განხორციელების მიზნით შექმნილი მომხმარებლის სახელის გამოყენება სხვა პირის მიერ, გარდა საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი პირისა. მომხმარებლის სახელის და პაროლის უსაფრთხოებასა და მხოლოდ სპეციალურად უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენებაზე პასუხისმგებელია კომპანია.

3.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას:

3.3.1. სააგენტო ვალდებულია საკუთარ ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის პროგრამული ინფრასტრუქტურასთან) დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო ჩაატაროს იმგვარად, რომ ამით არ შეფერხდეს კომპანიის სამუშაო პროცესის მიმდინარეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკიდან ან/და გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლებელია აღნიშნული მოთხოვნის შესრულება;
3.3.2. მოახდინონ დაუყოვნებლივი რეაგირება ერთმანეთის შეკითხვებზე (მათ შორის სატელეფონო ან/და სხვა ელექტრონული რესურსების მეშვეობით გაგზავნილ შეკითხვებზე).

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

4.1. მხარეთა შორის სადავო საკითხევი წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო;
4.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4.3. მხარეები იხსნიან პასუხისმგებლობას ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე.

მუხლი 5. მხარეთა კომუნიკაციის პირობები

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობითი შეტყობინების ან/და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული კომუნიკაციის საშუალებებით;

5.2. შეტყობინება მეორე მხარის მიერ მიღებულად ითვლება წერილობითი შეტყობინების იურიდიულ მისამართზე ჩაბარების, ხოლო შეტყობინების ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის მომენტიდან.

მუხლი 6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური და მისი გადახდის წესი

6.1. კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის საფასური სააგენტოს მიერ კომპანიისთვის 10 (ათი) ,,მომხმარებლის სახელის" უზრუნველყოფის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების სრული ვადისთვის შეადგენს **550 (ხუთასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე**;
6.2. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, კომპანია გადაიხდის ყოველი მომდევნო ათი ერთეულის ფარგლებში დამატებული მომხმარებლისთვის დამატებით წლიური მომსახურების საფასურს - 1 100 (ათას ასი) ლარს (დამატებული მომხმარებლის მიერ პროგრამით ფაქტობრივად სარგებლობის პერიოდის პროპორციულად);
6.3. მხარეები თანხმდებიან რომ ამ ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია ყიდულობს 10 მომხმარებელს, რომლის საფასური ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გათვალისწინებით შესადგენს **550 (ხუთასორმოცდაათი) ლარს დღგ-ს გარეშე**;
6.4. კომპანია საფასურს იხდის უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ერთჯერადად (სრულად), ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ამ ხელშეკრულების მე-10 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე;
6.5. თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე მის მიერ გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტის წესი და ცვლილებები ხელშეკრულებაში

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება **2023 წლის 01 ივლისიდან და ძალაშია 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით ან ცალმხრივად წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში;
7.3. კომპანიის მიერ ცალმხრივად წერილობითი მიმართვის საფუძველზე. კომპანიის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში სააგენტო არ არის ვალდებული დააბრუნოს კომპანიის მიერ გადახდილი ხელშეკრულების საფასური;
7.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 8. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია ელქტრონულად.
8.2 ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო რეესტრის შესახებ" ინსტრუქციისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების" და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესახებ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი.

მუხლი 9. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ - საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო
მისამართი: ქ.თბილისი, ვ. გორგასლის ქ.№22;
ტელ.: (995 322) 25 15 28;
ს/ნ.: 202238621
მიმღები: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში: **GE24NB0330100200165022**
ბანკის კოდი: **TRESGE22**
სახაზინო კოდი: **707427519**

ანა ქოქიაშვილი
ინოვაციებისა და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

სს „საქართველოს სახელმწიფო
ელექტროსისტემა”
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
სს „თი ბი სი ბანკი“
საიდ. კოდი: 204995176
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის GE02TB0600000102467636

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2023.06.21 11:02:39 +04'00'

გიორგი გელაშვილი
დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრი